N 10/897
05/03/2025

897-10-2-202503051436

კოოპერატივ „ქართული ბიო ველი"-ს (ს/კ 417896147)
გამგეობის თავმჯდომარეს გულბაათ საყვარელიძეს
მის: გორი, სოფ. ხიდისთავი
[redacted]

დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელების შესახებ

ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 ოქტომბრის №254 დადგენილების მე-3 მუხლის, ,,ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მონიტორინგის 2025 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ" ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის N1-6/635 ბრძანების და ,,ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გეგმური, დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელების შესახებ" ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 25 დეკემბრის N1-6/643 ბრძანების საფუძველზე, დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელების მიზნით, გთხოვთ წერილის ჩაბარებიდან 3 (სამი) თვის ვადაში ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოში ან/და სააგენტოს ელექტრონული ფოსტის (document@rda.gov.ge) მეშვეობით წარმოადგინოთ თანდართული დანართით (N3) გათვალისწინებული ინფორმაცია.

წერილით განსაზღვრულ ვადაში ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე მიღებული იქნება გადაწყვეტილება თქვენი კოოპერატივისათვის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე.

ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის N1-6/635 ბრძანების დანართი შეგიძლიათ იხილოთ საგენტოს ვებ გვერდზე (rda.gov.ge)

დანართი: 3 ფურცელი (ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის N1-6/635 ბრძანება; მონიტორინგის კითხვარი დანართი N3).

პატივისცემით,
გიორგი ფანცულაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო"

ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო * RURAL DEVELOPMENT AGENCY * 404923785
RDA

https://edocument.ge/mea/public/#/897-10-2-202503051436

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

დანართი
N3

მონიტორინგის კითხვარი

1. წარმოადგინეთ ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ:
   ა) კოოპერატივის დასახელება;
   ბ) იურიდიული მისამართი;
   გ) ფაქტობრივი მისამართი;
   დ) კოოპერატივის ელ.ფოსტის მისამართი;
   ე) გამგეობის თავმჯდომარე (სახელი, გვარი, პირადი N, მობ. ტელეფონის ნომერი);
   ვ) გამგეობის წევრები/დირექტორები (სახელი, გვარი, პირადი N, მობ. ტელეფონის ნომერი);
   ზ) სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში, წევრთა რაოდენობა და საბჭოს თავმჯდომარე (სახელი, გვარი, პირადი N, მობ. ტელეფონის ნომერი).

2. ახორციელებს თუ არა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას?
   (აღნიშნული ინფორმაციის წარმოსადგენად, ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს ვებ.გვერდიდან http://cooperatives.rda.gov.ge/legislation ჩამოტვირთეთ Excel-ის ფაილი - მონიტორინგის დანართი N4, შეავსეთ ინფორმაცია კოოპერატივის შესახებ და ჩაწერეთ მონაცემები თქვენი საქმიანობის შესაბამისად)

3. ახორციელებს თუ არა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გარდა სხვა საქმიანობას?
   (აღნიშნული ინფორმაციის წარმოსადგენად, ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს ვებ.გვერდიდან http://cooperatives.rda.gov.ge/legislation ჩამოტვირთეთ Excel-ის ფაილი - მონიტორინგის დანართი N4, ჩაწერეთ ინფორმაცია ცხრილში არსებულ შესაბამის ველში)

4. დაცულია თუ არა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრთა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმუმი?
   წარმოადგინეთ კოოპერატივის წევრთა/მეპაიეთა რაოდენობის შესახებ დოკუმენტალურად დადასტურებული ინფორმაცია (წევრთა/მეპაიეთა რეესტრი)

5. მიმდინარეობს თუ არა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ლიკვიდაცია ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოება?
   (წარმოადგინეთ ინფორმაცია. ლიკვიდაციის ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტაცია)

6. დაცულია თუ არა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდებით დადგენილი სხვა მოთხოვნები?

   წარმოადგინეთ ინფორმაცია:

   ა) კოოპერატივსა და მის წევრ/მეპაიეებს შორის ურთიერთვალდებულებების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებები;

   ბ) წინა სამეურნეო წლის კოოპერატივის მოგების განაწილების, სავალდებულო სარეზერვო ფონდის, სხვა მიზნობრივი ფონდების (არსებობის შემთხვევაში) ფორმირებისა და განკარგვის შესახებ (საერთო კრების ან/და გამგეობის გადაწყვეტილებები);

   დ) წინა და/ან მიმდინარე სამეურნეო წლის სავალდებულო საპაიო შენატანების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

   ე) ასოცირებული წევრის შენატანის და მეპაიის დამატებითი შენატანის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში);

   ვ) პროდუქციის წარმოების და/ან რეალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ხელშეკრულებები მიწოდების შესახებ, პროდუქციის მიღება-ჩაბარების აქტები, ზედნადებები)

ბრძანება

N 1-6/635 23.12.2024

ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მონიტორინგის 2025 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მოპოვებისა და შეწყვეტის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 2 ოქტომბრის №254 დადგენილების, ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს კოოპერატივების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 19 დეკემბრის N2-10/17270 მოხსენებითი ბარათის, წესდებისა და დებულების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მქონე იურიდიული პირის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მონიტორინგის 2025 წლის გეგმა დანართი N1 - ის შესაბამისად.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტოს კოოპერატივების განვითარების დეპარტამენტის უფროსს.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით წითლიძე

დირექტორი
ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო"